



რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგია

2013 წლის ივლისი

ავტორი: უჩა სეთური
თანაავტორი: ნათია კუპრაშვილი
გიორგი კლდიაშვილი

წინამდებარე კვლევა მომზადდა ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ პროექტის - „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მხარდაჭერა და მონიტორინგი საქართველოში“- ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ პოზიციას.

წინამდებარე კვლევაზე ვრცელდება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) საავტორო უფლებები. დაუშვებელია კვლევის ან კვლევის ნაწილის გამოყენება კომერციული ან სხვა მიზნებით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ნებართვის გარეშე.

სარჩევი

შესავალი	3
2. მცირესიმძლავრიანი საეთერო მაუწყებლების გაციფრულების საერთაშორისო გამოცდილება.....	4
2.1 აშშ-ს მოდელი	4
2.2 უკრაინის გამოცდილება	5
3. შემოთავაზებული მოდელი.....	7
4. რეგიონების ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ტექნიკური და ტექნოლოგიური მიმართულებები.....	10
5. სიხშირული გეგმის ცვლილებები და გამოთავისუფლებული სიხშირეები.....	12
6. ციფრული და ანალოგური სამაუწყებლო ზონების თანხვედრა.....	13
7. ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის სახელმწიფო სუბსიდირების პოლიტიკა.....	16
7.1. რეგიონული მაუწყებლების დახმარების ღონისძიებები.....	17
8. რეგიონული ტელევიზიების დახმარების კრიტერიუმები.....	18
9. კონცესია და სალიცენზიო შეთანხმებები	19
10. სავალდებულო ტრანზიტის რეგულირება რეგიონულ მულტიპლექსორებში.....	20
11. რეგიონული მულტიპლექსირების ოპერატორის ქსელში არხების განთავსების რეგულირება.....	22

შესავალი

მნიშვნელოვანია, რომ ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადართვა არ იწვევდეს ბოლო მომხმარებლისათვის და მაუწყებლებისათვის რაიმე უარყოფით შედეგებს და არ უნდა აუარესებდეს არსებულ მდგომარეობას.

საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია, რომ ციფრული მიწისზედა საეთერო მაუწყებლობა ჩამოყალიბდეს, როგორც კონკურენტი პლატფორმა არსებული სამაუწყებლო, ციფრული და ანალოგური ტრანზიტული ტექნოლოგიების გვერდით, რომლებიც საეთერო მაუწყებლობის მომსახურების მიწოდებას ახორციელებენ საქართველოს ქალაქებისა თუ რეგიონების მომხმარებლისათვის, თუმცა აღნიშნულ მიზნები შესრულებისას უმნიშვნელოვანესია მედია პლურალიზმის შენარჩუნება და მცირე ბიუჯეტის მქონე მაუწყებლების ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება.

საქართველოში მოქმედი ყველა კონტენტის მწარმოებელი უნდა იყოს უზრუნველყოფილი მის მიერ წარმოდგენილი პროგრამების და მაღალ გამტარიანი, მდგრადი და უსაფრთხო საეთერო ქსელით ტრანსლირების შესაძლებლობით, გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მაუწყებლების კონტექსტში, რომლებიც ფლობენ ლიცენზიებს როგორც ეროვნული, ასევე ადგილობრივი და რეგიონულ დონეზე დასაფარად. მაყურებლებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და მრავალფეროვან პროგრამებთან წვდომის არჩევანი. მედიაპლურალიზმის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების კონტენტის შენარჩუნება, რომლებიც სიგნალს ავრცელებენ უფასოდ და რომელთა მცირე შემოსავლები, უმეტესწილად, დაკავშირებულია კონკრეტულ გეოგრაფიულად მცირე ზონასთან.

საქართველოს არსებული მდგომარეობის პირობებში, აუცილებელია რეგიონული და ადგილობრივი კონტენტის მიწოდება მაყურებლებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გადწყვეტს ერთიანი რეგიონული დაშვების მულტიპლექსორის აგებას, ადგილობრივი კონტენტის განთავსება ქსელში უნდა მოხდეს რეგიონულ საიტებზე და რემულტიპლექსირების გზით დაემატოს (re-multiplexing) MPEG სატრანსპორტო ნაკადს რეგიონული ან ადგილობრივი ზონებში ტრანსლირებისთვის. თუმცა პირველ რიგში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამგვარი ეროვნული ქსელის მშენებლობის ხარჯები მაღალია, შესაბამისად სავარაუდოდ დიდი იქნება სადისტრიბუციო ხარჯი (თუმცა მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორებიც). ამ რისკფაქტორების შესამცირებლად მიზანშეწონილია რეგიონული ან ადგილობრივი მაუწყებლების შემთხვევაში არჩევანი გაკეთდეს უფრო მისაღებ ტექნოლოგიურ გადაწყვეტაზე.

2. მცირესიმულაციური საეთერო მაუწყებლების გაციფრულების საერთაშორისო გამოცდილება

2.1 აშშ-ს მოდელი

მცირე სიმულაციური მაუწყებლების ანალოგიურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი საინტერესოდ წარიმართა აშშ-ში. მაუწყებლების ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტის და აღმასრულებელი დირექტორის დევის რერის (David Rehr) განმარტებით¹, გაციფრულების დანერგვით, გადაიდგმებოდა ფერადი ტელევიზიის შემოდების მსგავსი მნიშვნელობის ნაბიჯი მაუწყებლობისათვის. სრულ სიმულაციური სატელევიზიო სადგურებისთვის ციფრულ მაუწყებლობაზე გადაყვანის ვადად განისაზღვრა 2009 წლის 12 ივნისი.² ციფრული გადასვლის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების აქტი შესაბამისად (*Digital Transition and Public Safety Act of 2005*) სრულ სიმულაციური³ გადამცემების გათიშვის საწყის პერიოდად განისაზღვრა 2009 წლის თებერვალი. ***დაბალი შემოსავლების მქონე პირებისათვის კი ამოქმედდა ფედერალური დაფინანსების ციფრული რისივერების ვაუჩერების პროგრამა (DTV Converter Box Coupon Program).***

არა მაღალსიმულაციური შემთხვევაში, დაბალსიმულაციური მაუწყებლებისათვის, ანუ კონკრეტულ მცირე გეოგრაფიულ არეალზე გავრცელებადი მაუწყებლებისათვის, მაუწყებლობა დასაშვები იყო მეტი ვადით, ვიდრე ეს მაღალსიმულაციური მაუწყებლებისათვის განსაზღვრა სახელმწიფომ. გამორთვის ბოლო ვადად განსაზღვრა 2015 წლის 1 სექტემბერი.

დაბალსიმულაციური გადამცემებისათვის 2011 წლის 15 ივლისის კომუნიკაციების ფედერალური კომისიის რეგულაციების შესაბამისად, დადგინდა პირობები რეტრანსლატორებისათვის, დაბალსიმულაციური და ე.წ. ა-კლასის⁴ დაბალსიმულაციური გადამცემებისათვის. ა-კლასის სატელევიზიო სადგურები სარგებლობენ დაცული სტატუსით, იმ გადამცემებისაგან განსხვავებით, რომლებიც, შესაძლოა, ჩანაცვლებულიყო დაბალსიმულაციური სატელევიზიო ან მაღალსიმულაციური გადამცემებით. დიდი ხანი იდგა კითხვის ქვეშ საკითხი, თუ

¹ <http://www.nab.org/documents/television/dtv/>

² ATSC Salutes The 'Passing' Of NTSC - Press Release. <http://www.atsc.org/cms/index.php/communications/press-releases/90-atsc-salutes-the-passing-of-ntsc>

³ შენიშვნა: გადამცემები, რომლებიც გათვლილია მაღალ სიმულაციურზე სამუშაოდ და დიდი ტერიტორიის დასაფარად.

⁴ FCC Deadlines for LPTV, TV Translator and Class A Stations To Convert to Digital - And Gives Hints When Television Spectrum May Be Reclaimed for Broadband <http://www.broadcastlawblog.com/2011/07/articles/low-power-televisionclass-a-tv/fcc-sets-deadlines-for-lptv-tv-translator-and-class-a-stations-to-convert-to-digital-and-gives-hints-when-television-spectrum-may-be-reclaimed-for-broadband/>

როგორ მოხდა ა-კლასის სტატუსის მქონე გადამცემების (რომელიც მინიჭებული იყო 10 წლის წინ) ტრანსფორმაცია ანალოგოგურიდან ციფრულ არხებზე. FCC⁵-მ დაადგინა, რომ იმ ა-კლასის კატეგორიის სადგურებისათვის, რომლებიც განაცხადებენ სურვილს, რომ მოახდენდნენ ციფრულ სიგნალის გავრცელებას, მათ სარგებლობაში არსებული ლიცენზიები ავტომატურად გახდებოდა ციფრული ლიცენზია. იმ შემთხვევაში, თუ სადგური არ აპირებდა ციფრული სიგნალის გავრცელებას მომავალში, მინიჭების ვადა გაგრძელდება შესაბამისი ვადით. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ამგვარი სადგურების რაოდენობა მინიმალური იქნებოდა.

კომუნიკაციების ფედერალური კომისიის მიერ ასევე შეფასდა სხვა საკითხებიც. დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მიდგომა დაბალსიმძლავრიანი სატელევიზიო სადგურების მიმართ. 2010 წლის მაისში, აპლიკანტებს მიეცათ 60 დღიანი ვადა წარადგინონ ცვლილებები მათთვის ციფრული სტატუსის მინიჭებისათვის. ამ მიდგომით, FCC-მ დაგაწყვიტა გაუქმებინა ყველა დარჩენილი ანალოგური განცხადება, რომლებიც არ დაემორჩილნენ 2010 წლის მაისის დადგენილებას.

დადგინდა ასევე გარკვეული ტექნიკური შეზღუდვები დაბალსიმძლავრიანი მაუწყებლებისათვის, კერძოდ მათი სიგნალის გავრცელების მანძილის მიმართულებით, (30 მილი სადგურის განთავსების ადგილიდან, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალს). რეგულირების მიხედვით აკრძალულია სადგურის ლოკაციის წერტილის ცვლილება, მიუხედავად სალიცენზიო ზონის სიდიდისა. FCC-ს შეზღუდვები შეეხო გადამცემი ანტენების განლაგების სიმაღლეს და სრულსიმძლავრიანი ტელემაუწყებლების გამოსხივების დამცავი ფარის გამოყენების პირობებს ხელშეშლების შესაფასებლად /გამოსათვლელად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თუ დაბალსიმძლავრიანი მაუწყებლები მოახდენენ არასამაუწყებლო სერვისების მიწოდებას მათი ქსელების მეშვეობით, ვალდებულნი ხდებიან გადაიხადონ სრულსიმძლავრიანი ტელევიზიების მიერ გადახდილი მოსაკრებლების 5%.

2.2 უკრაინის გამოცდილება

უკრაინის მთავრობამ ციფრული ტელევიზიის განვითარების პროგრამა 2008 წლის 28 ნოემბერს დაამტკიცა და ციფრული მაუწყებლობისთვის 174-230 მეგაჰერცის სიხშირეები განსაზღვრა, სტანდარტით DVB-T. უკრაინის ტელე-რადიომაუწყებლობის ნაციონალურმა საბჭომ 2009 წლის მაისში გამოსცა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის გეგმა, რომელიც ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტრომ მოამზადა. 2009 წლის 1 აპრილს კიევისა და ოდესის რაიონებში დაიწყო ციფრული მაუწყებლობა DVB-T სტანდარტში, MPEG 4 ფორმატში, რამაც შესაძლებელი გახადა ერთ მულტიპლექსში განთავსებულიყო 10 არხი.

⁵ აშშ-ს კომუნიკაციების ფედერალური კომისია

2010 წლის 24 ივნისს ოდესის ოლქში ჩატარდა პირველი ტესტი DVB- T2 სტანდარტით მაუწყებლობის და შესამღებელი გახდა ერთ მულტიპლექსში 15 სტანდარტული ან 3 მაღალი დეფინიციის არხი განთავსებულიყო.

2012 წლის გადაწყვეტილებით უკრაინაში ოთხი DVB-T2 მულტიპლექსის გარდა, მაუწყებლობა დამატებით ხორციელდება DVB-T სტანდარტის 4 მულტიპლექსით, თუმცა ეს არ ქმნის პრობლემებს მომხმარებლებისთვის ამ მულტიპლექსებიდან სიგნალის მიღების თვალსაზრისით.

კონკურსის შედეგად ციფრული მაუწყებლობის ლიცენზია მიიღო ყველა ეროვნულმა მაუწყებელმა, მაგრამ მაუწყებლების 50% დარჩა ლიცენზიის გარეშე (ძირითადად რეგიონული არხები), 98 რეგიონულმა არხმა საერთოდ არ მიიღო მონაწილეობა კონკურსში, რადგან ჩათვალეს, რომ ვერ შეძლებდნენ მულტიპლექსის მიერ დაწესებული გადასახადების გადახდას.

ტელემაუწყებლების დამოუკიდებელმა ასოციაციამ (AIB - HAM) რეგიონული არხების გადასარჩენად, მთავრობას შესთავაზა 2012 წელს მცირესიმძლავრიანი მულტიპლექსების აგების გეგმა. მეცნიერებთან ერთად, HAM-მა შეიმუშავა ტექნიკური პროექტი და მოითხოვა რეგიონულ დონეზე არსებული მაუწყებლებისთვის მათი კუთვნილი ლიცენზიების მოდიფიცირების გზით მცირესიმძლავრიანი DVB-T სტანდარტის მულტიპლექსების აგების უფლების მინიჭება.⁶

უკრაინის ტელე-რადიომაუწყებლობის ნაციონალურმა საბჭო, მთავრობასთან ერთად HAM-ის ამ პროექტს ახლა განიხილავს, ამასთან საბჭო არ უარყოფს, რომ სავარაუდოდ რეგიონული არხები, რომლებმაც აიღეს ციფრული მაუწყებლობის ლიცენზიები და განთავსდნენ ნაციონალურ მულტიპლექსზე, ვერ შეძლებენ ხარჯების გასტუმრებას და მულტიპლექსის მფლობელ კერძო კომპანიასთან დავალიანების გამო შეექმნებათ მაუწყებლობის პრობლემები. საბჭოს განმარტებით, ერთი ოლქის დასაფარად სტანდარტული ხარისხით მაუწყებელს **მინიმუმ 33 ათასი გრივნა (1 500 ლარი) ან მაქსიმუმ 200 ათასი გრივნა (9 500 ლარი) სჭირდებათ.**⁷

⁶ Примеры разработки проектов DVB-T мини-сетей для отдельных населенных пунктов Украины“ - Иван Омелянюк, Евгений Слипенченко, Хорольский Роман. - НАМ Независимая ассоциация телерадиовещателей. <http://www.nam.org.ua/>)

⁷ წყარო:<http://itexpert.org.ua/rubrikator/item/11865-glava-natssoвета-po-televideniyu-schitaet-chto-u-regionalnykh-veshchatelej-v-budushchem-smogut-.html> 2013 წლის 27 ივლისის მდგომარეობით.

3. შემოთავაზებული მოდელი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ არსებული საეთერო მაუწყებლების უმეტესობას ლიცენზიის მოქმედების ვადა გაუგრძელდა 2011 წლის დეკემბერში **2021 წლამდე**. კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებების შესაბამისად, კომისიამ მის უფლებამოსილებად განსაზღვრა გაგრძელებული ლიცენზიის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, განახორციელებინა საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის მოდიფიცირება, მათ შორის სალიცენზიო გადასახდელის გადნაგარიშება, რა დროსაც ლიცენზიის მფლობელს არ წარმოეშვება კომისიისგან კომპენსაციის მიღების უფლება, ხოლო ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ამავე პუნქტის საფუძველზე მოდიფიცირებული სალიცენზიო პირობების დაცვით სამაუწყებლო საქმიანობის განხორციელება.⁸

ჩვენი ხედვის შესაბამისად რეგიონულ და ადგილობრივ მაუწყებლებს, რადიოსიხშირეების განაწილების ეროვნული გეგმის შესაბამისად, უნდა გამოეყოთ მინიმუმ ერთი სიხშირე ქვეყნის მასშტაბით, რომლის გამოყენებით მაუწყებლები მათი ამჟამინდელი ლიცენზიით განსაზღვრულ სამაუწყებლო ზონაში ააგებენ მცირესიმძლავრიან მულტიპლექსებს Singal Frequency Network მაუწყებლობის განსახორციელებლად. ქსელის მინიმალური პარამეტრები შესაძლოა განსხვავდებოდეს ეროვნული მულტიპლექსორებისათვის დადგენილი პარამეტრებისაგან.⁹ მინიმალურ სტანდარტებად უნდა დადგინდეს DVB-T და MPG2, სიგნალის მიღების შესაძლებლობა ექნება საზოგადოებრივი მაუწყებლის კონტენტისთვის დარიგებულ DVB-T2 რისივერებს.

უკრაინული ორგანიზაცია HAM- ის კვლევებიდან ჩანს, რომ მცირესიმძლავრიანი მულტიპლექსების აგების ხარჯმა, შესაძლოა შეადგინოს 32-დან 41 ატას დოლარამდე. კვლევაში **Примеры разработки проектов DVB-T мини-сетей для отдельных населенных пунктов Украины** - წარმოდგენილია შემდეგი ხარჯთაღრიცხვა:

⁸ N 822 / 6 - 30 დეკემბერი, 2011, შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია "მეგა-ტვ"-ს მაუწყებლობის №B74 ლიცენზიის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოდიფიცირებისა და ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=112225

⁹ შენიშვნა: ხარისხობრივი პარამეტრები შესაძლოა შეიცვალოს, თუმცა ამ მაუწყებლების ინტერესშია, რომ მათი მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდეს და უფრო კონკურენტული იყოს

№	Наименование	Цена за единицу, USD с НДС	Кол-во	Цена, USD с НДС
1.	Упрощенный кодер MPEG-4 та AAC-LC, C/V и SDI входы, ASI та IP выходы	4 500 - 6000	3	13 500 - 18000
2.	Бюджетный мультиплексор в конфигурации 5 ASI-входов, 2 ASI выхода, IP вход/выход составляет.	8000 - 10 000	1	8000 - 10 000
3.	Цифровой маломощный упрощенный возбуждатель	6000 - 7000	1	6000 - 7000
4.	Антенна с вертикальной поляризацией	800 – 1500	1	800 - 1500
Всего:				28300 - 36500
5.	Упрощенный одностотный Ретранслятор в комплекте с приемной антенной, малозумящим усилителем и приемной антенной	3500 - 4500	1	3500 - 4500
Всего:				31800 - 41000

თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოში ამჟამად მაუწყებელი ტელეკომპანიების ნაწილი, უკვე ფლობს ისეთ გადამცემს, რომლის მოდიფიცირებაც შესაძლებელია ციფრულ DVB-T გადამცემად, მაუწყებელთა ნაწილს კი უკვე შეეძენილიც აქვს DVB-T გადამცემები, რაც მცირესიმბალვრიანი მულტიპლექსების გამართვის ხარჯებს კიდევ უფრო გააიაფებს.

რეგიონული მულტიპლექსორები, სახელმწიფომ, ერთიანი ინტეგრირებული რეგიონული სამაუწყებლო ქსელის შექმნის მიზნით, შესაძლოა, დაავალდებულოს, რომ მოახდინონ მათი შეერთება მინიმალური სიმძლავრის არხებით.

თუ რომელიმე ზონაში, შესაძლებელი აღმოჩნდება გამოყოფილი სიხშირით მაუწყებლობის განხორციელება, ციფრული მაუწყებლობის გამართვის შემდგომ, ხელმისაწვდომი სიხშირეებით რეგიონულ არხებს უნდა შეეცვალოთ მათ მფლობელობაში არსებული სიხშირეები, ხოლო თუ ამის საჭიროება არ არსებობს, დარჩეთ ლიცენზიის მოქმედების ვადით შესაბამისი სიხშირეები.

თუ არსებული სიხშირული ლიცენზიანტი მიიჩნევს, რომ მისთვის მისაღებია ახალ ციფრულ ზონაზე მაუწყებლობა ეროვნული მულტიპლექსორის მეშვეობით, რეგიონული რემულტიპლექსირებთან დაშვების გზით, ის მონაწილეობას წყვეტს ადგილობრივი მულტიპლექსორების რეგიონულ პროგრამაში და აწარმოებს მოლაპარაკებას საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან ლიცენზიის დაბრუნების ფინანსური და იურიდიული მხარეების დასარეგულირებლად. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

სიხშირების გარდა, ახდენს გადამცემების განთავსების ადგილის განსაზღვრას და გადამცემების სიმძლავრეების კორექტირებას (შემცირებას საჭიროების შემთხვევაში).

გარდამავალ ეტაპზე საეთერო კონტენტი მიწოდებული უნდა იყოს უფასოდ ადგილობრივი მულტიპლექს ოპერატორების მიერ.

რეგიონული და ადგილობრივი მულტიპლექსორის ოპერატორის მულტიპლექსორის თავისუფალ რესურსთან წვდომის (დაშვების ან ჩართვის) წერტილი (კონკრეტული ქალაქის ან დაბის პირობებშიც) უნდა განისაზღვროს ისე, რომ ხელმისაწვდომი იყოს დაშვების მსურველი სხვა მაუწყებლისათვის. დაშვება უნდა განხორციელდეს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით არადისკრიმინაციულად და ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით.

4. რეგიონების ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ტექნიკური და ტექნოლოგიური მიმართულებები

ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის ტექნიკური და ტექნოლოგიური მიმართულებით საქართველოს მთავრობის ამოცანას წარმოადგენს, მოახდინოს საქართველოს ციფრული საეთერო მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების იმგვარი გეგმარება, რომ ის შესაბამისობაში მოვიდეს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო პროგრამების მაუწყებლობის როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან მოთხოვნილებებთან, უზრუნველყოფილი იყოს დამატებითი და დაკავშირებული ელექტრონული სერვისების მიწოდების შესაძლებლობა, არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით.

ადგილობრივი და რეგიონული მაუწყებლების ნაწილის (6 მაუწყებელი) გადამცემები განთავსებულია ყოფილი საქართველოს ტელერადიო ცენტრის ანძებზე, უმეტეს შემთხვევაში კი ქალაქებში გამოყენებულია საკუთარი ან სხვა კომპანიების მფლობელობაში არსებული გადამცემები. დაბალსიმძლავრეანი ტრანსლირების უფლების მინიჭების შემთხვევაში არ მოხდება მომხმარებლების უფლებების შელახვა და მომხმარებლის მხარეს არსებული მიმღები ანტენების პოზიციების ცვლილების საჭიროება.

მიუხედავად იმისა, რომ DVB-T2 სტანდარტი 30% - 50% ეფექტურია DVB-T სტანდარდთან შედარებით და ოპტიმალურად მუშაობს ერთ სიხშირეანი სინქრონული ქსელის (SFN) პირობებში, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, სიახვის გამო, დასაშვები უნდა იყოს DVB-T სტანდარტის ტექნიკური მოწყობილობებით ოპერირება. აღნიშნული სიგნალის მიღების შესაძლებლობა ექნება DVB-T2 სტანდარტის რისივერებს.

ციფრული მაუწყებლობის საწყის სტადიაზე, პლატფორმის შიდა კონკურენციის უზრუნველსაყოფად და მომხმარებლების ინტერესების დასაცავად, უნდა დადგინდეს ქსელის მინიმალური ხარისხობრივი პარამეტრები რეგიონული მაუწყებლებისათვის, ხოლო კონტროლი უნდა განხორციელდეს მარეგულირებელი კომისიის მიერ.¹⁰

რეგიონების DVB-T ქსელების დაგეგმარება SFN¹¹, ხოლო სიგნალის მიღების ტიპი უნდა იყოს ფიქსირებული.

რეგიონული მაუწყებლების მაუწყებლობის ხარჯები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- კონტენტის შექმნა და პროგრამების მიწოდება (მაგ: სტუდიების ადაპტირება ციფრულ ნორმასთან თანხვედრისათვის 16:9 და HD ხარისხის კონტენტისთვის).

¹⁰ შენიშვნა: მაგალითისათვის ე.წ. „ჯიტერი“ გაკონტროლდეს MPEG დეკოდერებში და ა.შ.

¹¹ Single-frequency network, Multi Frequency Network.

- მულტიპლექსორი და დაკავშირებული სერვისები (ეს მიმართულება მოიცავს პროგრამების განთავსებისთვის საჭირო ყველა ღონისძიების დაფინანსებას, ასოცირებული ინფრასტრუქტურების დაფინანსების ჩათვლით, პირობითი დაშვების სერვისების, პროგრამების ელექტრონული გზამკვლევის, ინტერაქტიული და სხვა სატელეკომუნიკაციო სერვისების ჩათვლით).
- სატრანსპორტო და ტრანსმიტერების ქსელი (ციფრული ქსელის სატრანსპორტო ქსელის მიმართულება მულტიპლექსორიდან გადამცემამდე და შემდგომ გადამცემებიდან ბოლო მომხმარებლის ტერმინალურ მოწყობილობამდე).
- მომხმარებლების მოწყობილობების და პარალელური მაუწყებლობის ხარჯები.

იმ შემთხვევაში, თუ მისაღებად იქნება შეთავაზებული რეგიონული გაციფრულების მოდელი, მულტიპლექსორთან დაშვების ხარჯების სანაცვლოდ, შესაძლებელი იქნება საკუთარი მცირე სიმძლავრიანი DVB-T სტანდარტის მულტიპლექსორის გამართვა და საკუთარი, ასევე სხვა მსურველი ოპერატორის კონტენტის გავრცელება.

რეგიონების შემოთავაზებული მოდელის დანერგვის შემთხვევაში, ადგილობრივი მულტიპლექსოპერატორების შესაძლოა შეეჩებოს მისი ქსელის სიმძლავრის პრობლემებს ახალი თაობის HD და სხვა სერვისებზე მოთხოვნის წარმოშობისას.

5. სიხშირული გეგმის ცვლილებები და გამოთავისუფლებული სიხშირეები

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით,¹² სიხშირული სპექტრის გამოყენებით, დღეს საქართველოში 34 საერთო მაუწყებელი ავრცელებს სატელევიზიო პროგრამას, რომელთაგან 27 რეგიონული მაუწყებელია, 7 კი ეროვნული. ანალოგური მაუწყებლობის არეალი კი განისაზღვრება 25 სამაუწყებლო ზონის მიხედვით. ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირთან (ITU) შეთანხმებით, საქართველო ანალოგურისგან განსხვავებით (25 სამაუწყებლო ზონა), იყოფა 10 სამაუწყებლო ციფრულ ზონად, რაც ამსხვილებს ანალოგურ ზონებს და ამასთან, არ ემთხვევა ქვეყნის ადმინისტრაციულ დაყოფას, რომელზედაც დაფუძნებული იყო ანალოგური სამაუწყებლო ზონალური დაყოფა. აღნიშნული, არსებით გავლენას იქონიებს მაუწყებლების, როგორც პროგრამულ მხარეზე, ისე გავრცელების სისტემაზე.

უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს, რომ არსებული გამოუყენებელი ანალოგური სიხშირეები, რომლებიც არ იყო გამოყენებული ხელშეშლების გამო, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდგომ, ხდება გამოყენებადი, რაც ვფიქრობთ, რომ გამოიციხავს სიხშირეების სიმცირის არსებულ პრობლემას. ციფრული დივიდენდის კუთხით სამომავლო განვითარებისათვის საჭირო სიხშირეები, შესაძლოა, ჩანაცვლდნენ სწორედ ამ სიხშირეების ხარჯზე. ამ მოსაზრების, გამო, მიუხედავად იმისა რომ მოხდება სიხშირეების არაეფექტური გამოყენება, ეს შეეხება იმ სიხშირეებს, როლებიც ოპტიმალური არ არის შემდეგი თაობის სატელეკომუნიკაციო სერვისებისათვის.

¹² http://www.gncc.ge/files/2101_113188_153584_GNCC%20-%20digital_broadcusting%20final.pdf

6. ციფრული და ანალოგური სამაუწყებლო ზონების თანხვედრა

შემოთავაზებული მოდელი მოაგვარებს სამაუწყებლო ზონების თანხვედრის პრობლემებს რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლებისათვის.


სამაუწყებლო ზონების თანხვედრა შემდეგია:¹³

- სამაუწყებლო ზონა Geo 249 (ყოფილი 21-ე სამაუწყებლო ზონის (ზუგდიდი) მიხედვით, ყოფილი 24-ე (სოხუმი) სამაუწყებლო ზონის და ყოფილი 25-ე (ჩხალთა) სამაუწყებლო ზონის ოკუპირების გამო);
- სამაუწყებლო ზონა Geo 250 (ძირითადად მოიცავს 21-ე (ზუგდიდი) სამაუწყებლო ზონას და ნაწილობრივ, ყოფილ მე-18 (მესტია) სამაუწყებლო ზონასა და ყოფილ მე-20 (ფოთი) სამაუწყებლო ზონას);
- სამაუწყებლო ზონა Geo 252 (მოიცავს, ძირითადად, ყოფილ 23 (ბათუმი) სამაუწყებლო ზონას; ნაწილობრივ, ყოფილ მე-20 (ფოთი) სამაუწყებლო ზონასა და ყოფილ 22-ე (ოზურგეთი) სამაუწყებლო ზონას);
- სამაუწყებლო ზონა Geo 253 (მოიცავს, ძირითადად, ყოფილ მე-19 (ქუთაისი) სამაუწყებლო ზონას, მთლიანად ყოფილ მე-15 (ტყეპული) სამაუწყებლო ზონასა და ყოფილ მე-17 (ცაგერი) სამაუწყებლო ზონას და ნაწილობრივ ყოფილ მე-14 (ჭიათურა) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-16 (ონი) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-18 (მესტია) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-20 (ფოთი) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ 21-ე (ზუგდიდი) სამაუწყებლო ზონას და ყოფილ 22-ე (ოზურგეთი) სამაუწყებლო ზონას);
- სამაუწყებლო ზონა Geo 255 (მოიცავს ძირითადად და სრულად ყოფილ მე-13 (ახალციხე) სამაუწყებლო ზონას და ყოფილ მე-12 (ახალქალაქი) სამაუწყებლო ზონის უმეტეს ნაწილს, ნაწილობრივ ყოფილ მე-9 (ბორჯომი) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ 22-ე (ოზურგეთი) სამაუწყებლო ზონას და ყოფილ 23-ე (ბათუმი) სამაუწყებლო ზონას);
- სამაუწყებლო ზონა Geo 256 (ძირითადად და სრულად მოიცავს ყოფილ მე-8 (გორი) სამაუწყებლო ზონას და ყოფილი მე-9 (ბორჯომი) სამაუწყებლო ზონის უმეტეს ნაწილს, ასევე ნაწილობრივ ყოფილ პირველ (თბილისი) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-5 (დუშეთი) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-6 (სტეფანწმინდა) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-14 (ჭიათურა) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-16 (ონი) სამაუწყებლო ზონას და ყოფილ მე-19 (ქუთაისი) სამაუწყებლო ზონას);
- სამაუწყებლო ზონა Geo 257 (მოიცავს ძირითადად ყოფილ მე-5 (დუშეთი) სამაუწყებლო ზონას, მთლიანად მე-7 (ბარისახო) სამაუწყებლო ზონას

¹³ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის ანგარიში:
http://www.gncc.ge/files/3100_2949_314871_1.pdf

და ნაწილობრივ ყოფილ მე-6 (სტეფანწმინდა) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-2 (ყვარელი) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-4 (თიანეთი) სამაუწყებლო ზონას);

- სამაუწყებლო ზონა Geo 258 (ძირითადად მოიცავს ყოფილ მე-11 (დმანისი) სამაუწყებლო ზონას, მე-10 (ბოლნისი) სამაუწყებლო ზონის უმეტეს ნაწილს და ნაწილობრივ ყოფილ პირველ (თბილისი) და ყოფილ მე-12 (ახალქალაქი) სამაუწყებლო ზონებს), ასევე რუსთავს, მარნეულს, გარდაბანს;
- სამაუწყებლო ზონა Geo 259 (მოიცავს ძირითადად ყოფილ პირველ (თბილისი) სამაუწყებლო ზონას და ყოფილი მე-4 (თიანეთი) სამაუწყებლო ზონის უმეტეს ნაწილს, ნაწილობრივ ყოფილ მე-2 (ყვარელი) სამაუწყებლო ზონას, ყოფილ მე-3 (საგარეჯო) სამაუწყებლო ზონას და ყოფილ მე-10 (ბოლნისი) სამაუწყებლო ზონას¹⁴).
- სამაუწყებლო ზონა Geo 261 ზონა (მოიცავს ძირითადად ყოფილ მე-2 (ყვარელი) სამაუწყებლო ზონას და ყოფილ მე-3 (საგარეჯო) სამაუწყებლო ზონის უმეტეს ნაწილს).



საყურადღებოა, რომ ციფრული ზონები არ ითვალისწინებს და არ ეყრდნობა ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობას და ზოგ შემთხვევაში შუაზე ჰყოფს რამდენიმე რეგიონს. ტერიტორიული მოწყობა კი თავის მხრივ უშუალო კავშირშია ლოკალური მაუწყებლების სამაუწყებლო პოლიტიკასთან. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში გაითვალისწინოს ლოკალური მაუწყებლების ლეგიტიმური ინტერესი, რომ ამ მაუწყებლების პროგრამები ხელმისაწვდომი იყოს ამჟამად არსებული სამაუწყებლო

¹⁴ შენიშვნა: ამ ზონაში შედის ასევე რუსთავის ზონა და მარნეულის, გარდაბნის რაიონები

ზონებისთვის (რომლებიც ითვალისწინებს ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობას) და გამარტივებული წესით მოახდინოს ასეთი არხების დაშვება მოსაზღვრე სამაუწყებლო ზონაში.

შემოთავაზებული მოდელის გათვალისწინების შემთხვევაში არ იქნება საჭირო ციფრული ზონების კორექტირება (ქვეზონებად დაყოფა). კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ არ უნდა დაავალდებულოს მცირე მაუწყებლები ახალი სამაუწყებლო ზონის პროცენტული დაფარვა.

7. ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის სახელმწიფო სუბსიდირების პოლიტიკა

სახელმწიფომ უნდა სწორად დაინახოს რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების მნიშვნელობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის საქმეში, მათი როლი მედია პლურალიზმის უზრუნველსაყოფად, ასევე რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების მიერ ტრანსლირებული ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელობა და უნდა განახორციელოს ქვემოთ მოცემული რეგულაციები.

მიწოდების მხარის სუბსიდირების პოლიტიკა პირველ რიგში მოიაზრებს მცირე ბიუჯეტის მაუწყებლების დახმარებას. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის ხელშესაწყობად, მნიშვნელოვანია, ასევე, სამაუწყებლო საეთერო ქსელის ოპერატორების და აპარატურის იმპორტიორების/საცალო მოვაჭრე კომპანიების დახმარება.

რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების დახმარების მოდელის შემოღება და სწორი იმპლემენტაცია უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ერთ-ერთ ხელშემწყობ ღონისძიებად რეგიონული მედია პლურალიზმის უზრუნველსაყოფად. ციფრული სამაუწყებლო საეთერო მულტიპლექს ოპერატორის ქსელის რეგიონულ ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების პირობების და ტარიფების რეგულირება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 19-ე მუხლის მე-3 პუნქტის ანალოგიურად უნდა განხორციელდეს¹⁵.

საეთერო ტელევიზიები სწევნ გარკვეულ ხარჯებს ანალოგური სიგნალის გასავრცელებლად, ინახავენ რა ინფრასტრუქტურას, გადამცემებს (რამდენიმე ფლობს ანძასაც), რის ხარჯებიც, გრძელვადიან პერიოდზე გათვლით, ეკონომიკურად არამომგებიანი უნდა იყოს რეგიონულ მულტიპლექსორთან დაშვების ხარჯებთან შედარებით. თუმცა, შესაძლებელია საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფოს ხელშეწყობით, კერძოდ, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პერიოდში, ამ კატეგორიის მაუწყებლებისათვის უნდა დადგინდეს გარკვეული შეღავათები პარალელური ტრანსლირების შემთხვევაში და მათთვის შეთავაზებული უნდა იქნას გონივრული პირობები კონტენტის გასავრცელებლად. აღნიშნულ მაუწყებლებს შესაძლებლობა ექნებათ განვითარდნენ და არ მოხდეს მათი ან საკაბელო ქსელში „გადასვლა“, კონცენტრაცია¹⁶ ან გაკოტრება.

¹⁵ შენიშვნა: მინიმალური ჩარევის პრინციპით ბაზარზე, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საწყის ეტაპზე, სასურველია, საშუალება მიეცეს ბაზრის მონაწილეებს თავად დაადგინონ დაშვების ტარიფი, თუმცა კომისიის მიერ დადგენილი მოდელის გამოყენებით;

¹⁶ A MAPPING STUDY OF MEDIA CONCENTRATION AND OWNERSHIP IN TEN EUROPEAN COUNTRIES, 2004. David Ward, Oliver Carsten Fueg.

7.1. რეგიონული მაუწყებლების დახმარების ღონისძიებები

მაუწყებლების, ასევე ციფრული მაუწყებლობის საეთერო ქსელების ოპერატორების დაფინანსების მიმართულებით, ევროპის კავშირის მინისტრთა კომიტეტი ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევს, რომ მათ რეგულირებაში ასახონ ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხები, რომლის მიზანი იქნება მედია პლურალიზმის უზრუნველყოფა. ამ საკითხების გათვალისწინება ასევე ხელს შეუწყობს მოსახლეობის წვდომას მაღალხარისხიან პროგრამებთან, რომელიც მრავლად იქნება წარმოდგენილი მედია ბაზარზე¹⁷. სახელმწიფომ უნდა დაიცვას და თუ აუცილებელია, მიიღოს სპეციალური ზომები, მედია პლურალიზმის უზრუნველსაყოფად. ახალი ტექნოლოგიების გამოწვევების კონტექსტში, საიმედო და შესაბამისი ფინანსური რეგულირების გარეშე, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი დაბრკოლდება. ახალი გამოწვევების კონტექსტში, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოებრივი მაუწყებლების ოპტიმალური ფინანსური მხარდაჭერა, მათ წინაშე დასმული ამოცანების გადასაჭრელად.

რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების წამახალისებელ საშუალებად, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პერიოდში, გამოყენებული უნდა იყოს, რეგულირების საფასურის შეღავათიანი ან ნულოვანი ოდენობის დადგენა, მათ საკუთრებაში არსებული ლიცენზიების მოქმედების ზონაში სიგნალის გავრცელებით მიღებული შემოსავლების ნაწილში, ასევე შესაძლოა მოხდეს მათ გადასახადებისგან განთავისუფლება, მხოლოდ პარალელური მაუწყებლობის შემთხვევაში და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პერიოდში, რაც გარკვეულწილად მოახდენს გაცემული ლიცენზიის 2015 წლის შემდგომ მოქმედების ლიკვიდირებული პერიოდის კომპენსირებას.

<http://www.mediamonitor.nl/dsresource?objectid=435&type=org>

¹⁷ Recommendation R (2003)9 of the Committee of Ministers to Member States on measures to promote the democratic and social contribution of digital broadcasting.

8. რეგიონული ტელევიზიების დახმარების კრიტერიუმები

რეგიონული მაუწყებლებისათვის ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად გამოყენებული უნდა იყოს ის კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრულია ევროპის კავშირის ფუნქციონირების დირექტივაში.

კრიტერიუმები დახმარების განაცხადის წარსადგენად შემდეგია:

- **რეგიონული სტატუსი** – მაუწყებელი უნდა საქმიანობდეს იმ ციფრულ ზონაში ან მის ნაწილში, რომელსაც აქვს რეგიონული სტატუსი და კონცენტრირებული უნდა იყოს რეგიონული კონტენტის წარმოებაზე (მაგალითად რეგიონული სიახლეები, მიმდინარე ამბები, კულტურული და სხვა სახის ღონისძიებები).
- **კომპანიის სიცოცხლისუნარიანობა** – დაფინანსება უნდა გაიცეს მხოლოდ არსებული საქმიანობის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად. რეგიონულმა მაუწყებლებმა უნდა წარადგინონ დეტალური ფინანსური ანგარიში და დასაბუთება, რომ მათი ბოლო ორი წლის მონაცემები წარმოშობს აღნიშნულ პრობლემებს. განაცხადის წარდგენისას წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი წლის ბიზნეს გეგმა.
- **ტექნიკური მიზანშეწონილობა** – რეგიონულმა მაუწყებლებმა დაფინანსების მოთხოვნის წარდგენისას უნდა დაასაბუთონ, რომ წარმოდგენილი ტექნიკური დასაფინანსებელი მიმართულება ციფრული სიგნალის გასავრცელებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ხარჯები ეკონომიკურად ეფექტურად და სწორად არის დაგეგმილი.
- **დაფინანსების დროის შუალედი** – დაფინანსება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ 2014-2015 წლებში, ქვეყნის სრულ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამდე, ანუ პირველი ალტერნატიული დაშვების შესაძლებლობის გაჩენამდე კონკრეტულ რეგიონში. ეს დრო საშუალებას უნდა აძლევდეს რეგიონულ მაუწყებლებს დახმარება მიიღონ მათი სამაუწყებლო ზონის შესაბამისად (ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ტექნიკურ-სატესტო გეგმის მიხედვით).
- **სიგნალის გავრცელების ხარჯები** – დაფინანსება უნდა მოიცავდეს ან საკუთარი გადამცემის მშენებლობის (თუ დაშვებული იქნება შესაბამისი სალიცენზიო რეჟიმი, თუმცა ადრე არსებული ლიცენზიები უფრო მცირე არეალს მოიცავს, ვიდრე ციფრული 10 ზონა) ან ეროვნული ქსელის მეშვეობით გავრცელების ხარჯებს მის სამოქმედო ზონაში (რომელიც უნდა განისაზღვროს გაცემული ლიცენზიების ფარგლებში).
- **უფასო ხელმისაწვდომობა** – ამ მაუწყებლების სიგნალები ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფასო და ღია რისივერების მეშვეობით. როდესაც ისინი წარმოადგენენ ცალკეული ანძის და გადამცემების ან დაფინანსების პროექტს ან საერთო გადამცემი ქსელის სიმძლავრესთან დაშვებას, მათი სიგნალები თავისუფლად უნდა იყოს ხელმისაწვდომი პროგრამულ სიაში.

9. კონცესია და სალიცენზიო შეთანხმებები

კონცესიის შეთანხმება უნდა წარმოადგენდეს წამახალისებელ და ალტერნატიულ ვარიანტს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პერიოდში ანალოგური ლიცენზიის მფლობელებისათვის, მათი ინტერესების გათვალისწინებით. პირობები იმგვარად უნდა იყოს დადგენილი, რომ არ ახდენდეს ლიცენზიანტების ინტერესების შელახვას და იცავდეს მათ სახელმწიფოს ზეწოლისაგან.

არსებული ანალოგური ლიცენზიების მფლობელი პირებისათვის, შესაძლოა, გამოიყოს ერთობლივი გამოყენებისათვის გარკვეული სიხშირეები ან სიხშირე ციფრული მაუწყებლობისათვის, ერთობლივი გამოყენების მიზნით, რის გაცემაც უნდა მოხდეს არსებული ლიცენზირებული სიხშირეების სანაცვლოდ, რომელსაც სახელმწიფო „გაუცვლის“ ანალოგური სიხშირის ლიცენზიანტს ციფრულ ერთობლივად გამოსაყენებელ სიხშირეებში 2015 წლის შემდგომ. შესაბამისი სიხშირის გადაცემამდე საკონცესიო ხელშეკრულების ფარგლებში, წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა საჭირო დოკუმენტი (პროექტი, გეგმა, ვადები, არეალი), მათ შორის პროექტის ფინანსური მხარდაჭერის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც სათუთს არ გახდის აღნიშნული მაუწყებლების ქსელის აგების და ტრანსლირების საკითხს.

საკონცესიო ხელშეკრულების ფარგლებში, ანალოგური ლიცენზიების სანაცვლოდ, სახელმწიფომ უნდა შესთავაზოს ლიცენზიანტებს ანალოგური ლიცენზიის სამოქმედო ტერიტორიაზე ალტერნატიული სიხშირე ციფრული მაუწყებლობისათვის ან შესთავაზოს კომპენსაცია (მათი მოთხოვნის შემთხვევაში).

აღნიშნული საკითხები შესაძლოა ასევე დარეგულირდეს სალიცენზიო შეთანხმებებში, "მაუწყებლობის შესახებ" და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონების საფუძველზე. სიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიებში განსაზღვრულია, რომ გარკვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში რიგი პირობები შესაძლოა გადაიხედოს სალიცენზიო შეთანხმებების ფარგლებში. სწორი მიდგომაა მოლაპარაკების წარმოება არა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, არამედ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ლიცენზიანტს შორის. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიანტი არ იქნება თანახმა ალტერნატიულ ვარიანტებზე, ის იძულებული იქნება გამართოს ანალოგური გადამცემი 2015 წლის ივნისის შემდგომ. ეს მიმართულება ფინანსურ ნაწილში შესაძლოა განხილული იყოს, როგორც სახელმწიფო დახმარების კატეგორია.

10. სავალდებულო ტრანზიტის რეგულირება რეგიონულ მულტიპლექსორებში

სავალდებულო ტრანზიტის პირობებში, სახელმწიფოს შეუძლია, დაავალდებულოს ოპერატორები მიაწოდონ საზოგადოებრივი მაუწყებლის ან სხვა მაუწყებლის პროგრამები ბოლო მოხმარებელს. ყველაზე მოთხოვნად კერძო კონტენტად უნდა იყოს მიჩნეული ის პროგრამა, რომელსაც აქვს საინფორმაციო და სადისკუსიო გადაცემები და რომელსაც უყურებს კონკრეტული ქალაქის ან/და ციფრული რეგიონის მოსახლეობის 20%. (აქცენტი უნდა გაკეთდეს ასევე სამაუწყებლო სფეროში სახელმწიფო ინტერესებთან თავსებადობაზე). სავალდებულო ტრანზიტის განხორციელების კრიტერიუმები უნდა დადგინდეს სტრატეგიის სამართლებრივი ნაწილით.

ციფრული საეთერო მაუწყებლობის ქსელის ოპერატორებზე სავალდებულო ტრანზიტის რეგულირება, მიზანშეწონილია განხორციელდეს ევროკავშირის იმ ქვეყნების მსგავსად, რომლებსაც სამაუწყებლო ქსელების და სამაუწყებლო ბაზრის საქართველოს მსგავსი მდგომარეობა აქვთ.¹⁸

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სალიცენზიო პირობებში დეტალურად უნდა გაწეროს სავალდებულო ტრანზიტის ვალდებულებები მაუწყებლობისათვის გამოყენებული ყველა პლატფორმისათვის (რაც უნდა დადგინდეს კვლევის და ანალიზის საფუძველზე). ძირითადი პირობების ქვეშ დაკონკრეტებული სავალდებულო ტრანზიტის ვალდებულებები უნდა გავრცელდეს გარდამავალ ეტაპზე ლიცენზირებულ ყველა მულტიპლექს ოპერატორზე, ხოლო გარდამავალი ეტაპის შემდეგ ე.წ. მე-18 ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლენილ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებზე.

საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს ტრანზიტული გატარების წესს, რომელიც უზრუნველყოფს მაუწყებელთა პროგრამის გადაცემას საკაბელო პროვაიდერების ქსელების მეშვეობით, მხოლოდ საარჩევნო პერიოდში, თუმცა დაშვების სპეციფიკური ვალდებულების ფარგლებში შესაბამის მულტიპლექს ოპერატორსაც უნდა დაეკისროს აღნიშნული ვალდებულება. სპეციალურმა კანონმდებლობამ სატელეკომუნიკაციო და მაუწყებლობის სფეროში უნდა უზრუნველყოს, რომ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამები გადაიცეს სხვა ციფრული პლატფორმებითაც, თავისთავად, თუ იარსებებს მოთხოვნა აღნიშნულზე.

პლატფორმის შიდა კონკურენციის გაზრდის საჭიროების არსებობის შემთხვევაში, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უნდა ჰქონდეს კონტენტის პროვაიდერზე ე.წ. „შეთავაზების ვალდებულების“ დაწესების უფლებამოსილება „მაუწყებლობის შესახებ“

¹⁸ Carriage obligations for broadcasting platforms, Cullen international SA. <http://www.cullen-international.com/cullen/cipublic/studies/broadcast/tables/table15%20.htm>

საქართველოს კანონის შესაბამისად, რათა პლატფორმის ოპერატორმა შეძლოს მაყურებლისთვის საინტერესო კონტენტის გავრცელება მისი ქსელის მეშვეობით.

“სავალდებულო შეთავაზების” ფარგლებში, რომელიც ეკისრება პროგრამულ პროვაიდერს-მაუწყებელს, პროგრამის მიმწოდებელი არ უნდა იყოს უფლებამოსილი უარი უთხრას ციფრული საეთერო ქსელის პროვაიდერს. ეს გადაწყვეტა არის უმარტივესი საშუალება კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის, რომ გაამყაროს ციფრული საეთერო და სხვა პლატფორმების პოზიციები და დაიცვას ისინი მაუწყებლების თავნებობისაგან. ამ სტრატეგიის ფარგლებში, ეს ვალდებულება უნდა განისაზღვროს საქართველოს კანონში „მაუწყებლობის შესახებ“, ხოლო მისი რეალიზაცია, შესაძლებელია, მოხდეს კონკურენციის შემდგომი რეგულირების ფარგლებში, კონკრეტული დავის წარმოშობის შემთხვევაში.

11. რეგიონული მულტიპლექსირების ოპერატორის ქსელში არხების განთავსების რეგულირება

უმნიშვნელოვანესია, რომ კომისიამ შესაბამისი სამართლებრივი აქტით დაადგინოს მულტიპლექსორის სიმძლავრეებთან წვდომის პირობები. აღსანიშნავია, რომ გარდამავალ პერიოდში და მის შემდგომაც, სახელწიფოს მიერ უფლებამოსილი პირის მიერ უნდა მოხდეს დაშვების პრიორიტეტულობის შეფასება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- პრიორიტეტულად უნდა მოხდეს იმ მაუწყებლების დაშვება, რომლებიც საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიას ფლობდნენ ანალოგური მაუწყებლობის გამორთვამდე;¹⁹
- პირველ ორ მულტიპლექსორში, არხების განთავსებისას, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არაკომერციულ მაუწყებლებს, ასევე ადგილობრივ და უფასოდ ტრანსლირებად არხებს;
- პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მაუწყებლებს, რომლებმაც უნდა განახორციელონ პრიორიტეტული მიმართულებების კონტენტის ტრანსლირება.

ამ მიმართულებით, საქართველოში დაგეგმილი ბიზნეს მოდელის პირობებში, შესაძლოა საუკეთესოდ მივიჩნიოთ იტალიის მოდელი, რომლის შესაბამისად, კერძო მაუწყებლებისათვის, განსაზღვრულია მულტიპლექსორის სიმძლავრის 40%-იანი კვოტა, ჩამოთვლილია ის პრინციპები, რომლებიც უნდა დაიცვას ამ მაუწყებელმა. იმისათვის, რომ მოხდეს არხის განთავსება მულტიპლექსორში, აუცილებელია მინიმუმ ორი კრიტერიუმის ერთობლივი დაკმაყოფილება:

- საინფორმაციო და სადისკუსიო პროგრამების წარმოება;
- გასართობი - პირდაპირ ტრანსლირებადი სპორტული, საზოგადოებრივი, კულტურული და ა.შ;
- შემეცნებითი ხასიათის - ისტორიული, კულტურული, სამეცნიერო, მუსიკალური და ა.შ.;
- მხატვრული პროგრამები, ფილმები და ასევე ბავშვებზე და მოზარდებზე გათვლილი პროგრამები).

პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ მაუწყებლებს, რომლის პროგრამებიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ პრიორიტეტებს. საქართველოს კანონით „მაუწყებლობის შესახებ“ მე-4 მუხლის (სამაუწყებლო სიხშირეთა გეგმა და პრიორიტეტები მაუწყებლობის სფეროში), ითვალისწინებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვალდებულებას, რომ „რადიოკავშირის

¹⁹ შენიშვნა: თუ არსებობს ადგილობრივი საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა, სახელმწიფომ შესაძლებელია ამოქმედოს ე.წ. მორატორიუმის პრინციპი ამ სიხშირეების გაცემაზე.

საერთაშორისო რეგლამენტის“ შესაბამისად, 2 წელიწადში ერთხელ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე გამოაქვეყნოს ტელერადიო მაუწყებლობის პრიორიტეტები. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკა არადამაკმაყოფილებელია და კანონის არსებული ჩანაწერი ზოგადია. საჭიროა მისი დაზუსტება იმ ძირითადი კრიტერიუმებით, რომლებიც იქნება გაწერილი კანონში, ხოლო დამატებითი კრიტერიუმები უნდა დადგინდეს საზოგადოებრივი კვლევის საფუძველზე.

ოპერატორებმა სრულად უნდა გამოაქვეყნონ მათ მიერ შემოთავაზებული ყველა სერვისის საფასური მათ ვებ-გვერდებზე (მათ შორის სიგნალის სქრემბლინგის, ღია პირობითი დაშვების (EPG და ა.შ) და სხვა სერვისების საფასური და დაშვების პირობები).